საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№661 2016 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

„სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, დანერგვის, განვითარების, ადმინისტრირებისა და მომსახურების, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №297 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, დანერგვის, განვითარების, ადმინისტრირებისა და მომსახურების, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №297 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისაგან სპეციალიზებული

პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, დანერგვის, განვითარების, ადმინისტრირებისა და მომსახურების, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების სახელმწიფო შესყიდვის დროს წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური გათავისუფლდეს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.".

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი